ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ოქტომბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

მოგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიისა და სამსახურის დებულებების მოთხოვნათა შესაბამისად, საჯაროობის, სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობის, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, მოქალაქეთა მონაწილეობის პრინციპების დაცვით.

საანგარიშო პერიოდში ელექტრონული პროგრამის მეშვეობით ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურში განსახილველად და შესაბამისი რეაგირების მოხდენის მიზნით შემოსული არის 407 ერთეული წერილი სხვადასხვა უწყებებიდან და ფიზიკური პირებიდან, ყველა წერილი შესწავლილი და პასუხგაცემულია სამსახურის მიერ, მომზადდა მერის სამართლებრივი აქტების (ბრძანების) 145 პროექტი, 911 ერთეული გასაგზავნი წერილების პროექტები, ხოლო მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან შემოსული არის 40 ერთეული შიდა წერილი და მათთან გაგზავნილი კი 94 ერთეული, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განხორციელდა 169 რეგისტრაცია, რომელიც მოიცავს უძრავი ქონების რეგისტრაციას, რეგისტრირებული ფართების საზღვრების კორექტირება-დაზუსტებას და უძრავი ქონების დაყოფას.

მუნიციპალიტეში მიმდინარე ინვენტარიზაციისას, რომლის ჩატარებაშიც სამსახური აქტიურად არის ჩართული გამოვლინდა, რომ გარკვეული უძრავი ქონება, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ იყო შექმნილი და მოწყობილი არ იყო საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, კერძოდ: ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა გზები, ხიდები და ხიდბოგირები, ბოგირები, ბონდები, საყრდენი კედლები, ქუჩის განათებები, წყლის სათავე ნაგებობები და რეზერვუარები, ჭაბურღილები, წისქვილები, სკვერები, მოედნები, თავშეყრის ადგილები, სარიტუალო დარბაზები, მოსაცდელები, ფანჩატურები, მემორიალი და სხვა უძრავი ქონების

ობიექტები, რომლებზეც მომზადდა საკადასტრო - აზომვითი ნახაზები და გადაგზავნილი იქნა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით. ასევე სამსახურის მიერ მოძიებული იქნა და დარეგისტრირებული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელიც არ წარმოადგენდა საკუთრებას და შესაძლებელი არის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყენებული იქნას თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად, კერძოდ: სოფ. საქასრიაში 12724 კვ.მ, სოფ. ღორეშაში 490 კვ.მ, სოფ.მარელისში 2591 კვ.მ, სოფ.სარგვეშში 2685 კვ.მ, 2765 კვ.მ, 3212 კვ.მ, 9526 კვ.მ, 15168 კვ.მ, სოფ. ხევში 550 კვ.მ, დაბაში დევდარიანის ქ. 1601 კვ.მ, სოფ. თეთრაწყაროში 993 კვ.მ, 816 კვ.მ, 3118 კვ.მ, სოფ. ლაშეში 15212 კვ.მ, სოფ. ფარცხნალში 674 კვ.მ, სოფ. გრიგალათში 2520 კვ.მ, სოფ. საქასრიაში 12680 კვ.მ, სოფ.ვერტყვიჭალაში 4069 კვ.მ, სოფ. ლეღვანში 13874 კვ.მ, სოფ. საქასრიაში 9487 კვ.მ, სოფ. ვარძიაში 56 კვ.მ, სოფ. ხუნევში 6986 კვ.მ, სოფ. თეთრაწყაროში 1488 კვ.მ, 1425 კვ.მ, სოფ. ხონი 21 კვ.მ, 11 კვ.მ.

საანგარიშო პერიოდში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უძრავი ქონებიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა: სოფელ ბორითში მოსაწყობი საბავშვო ბაღის ეზოს გასადიდებლად 239 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სოფ. ვარძიაში მდებარე 400 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ასევე მუნიციპალიტეტს გადმოეცა დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა N16-ში მდებარე არსებული თავისუფალი ფართები, კერძოდ პირველი სართულზე 249,1 კვ.მ და მესამე სართულზე 284 კვ.მ, რომლებიც გამოყენებული იქნება ა(აიპ) „ხარაგაულის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“-სა და სხვა მოქმედი ა(ა)იპ-ების საოფისე ფართების საჭიროებისათვის, ასევე მომზადდა აზომვითი ნახაზები მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უძრავი ქონების პირველადი რეგისტრაციის მიზნით და გადაეგზავნა ქონების მართვის სააგენტოს დასარეგისტრირებლად, რომელიც დარეგისტრირდა და

გადმოგვეცა მუნიციპალიტეტს საკუთრებაში, კერძოდ: სოფ. სარგვეშში 365 კვ.მ მიწის ნაკვეთი , რომელიც გაერთიანდა, სოფელ სარგვეშში მერის წარმომადგენლის ოფისის ადმინისტრაციული დანიშნულების უძრავ ქონებასთან, სოფ. ციცქიურის ყოფილი დაწყებითი სკოლის უძრავი ქონება, რომელიც გამოყენებული იქნება მომავალ წელში სკვერის მოსაწყობათ, ხანდებში 276 კვ.მ უძრავი ქონება, რომელიც გამოყენებული იქნება ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, სოფ. მაქათუბანში 2 887 კვ.მ უძრავი ქონება ბორითის საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის, სოფ. მოლითსა და სოფ. ხიდარში წისქვილები, რომელიც გამოყენებულია მიზნობრივად, სოფელ ღორეშაში მდებარე 2 296 კვ.მ სკვერი (ეგრედწოდებული ვაჟას კარავი) მასზედ განთავსებული ნაგებობით და 7 418 კვ.მ სკვერი (ეგრედწოდებული აფხაზეთის სახლი) მასზედ განლაგებული შენობებით.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინაშე დაყენებულია საკითხები რომლებზედაც მიმდინარეობს საქმის წარმოება: დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქ. N90ა-ში მდებარე 58 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების უძრავ ქონებაზე, საქმის წარმოება დამთავრდება სისტემური რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, ვინაიდან ობიექტი ზედდებასი მოვიდა საკუთრებაში რეგისტრირებულ ქონებასთან, აგრეთვე მიმდინარეობს საქმის წარმოება სოფ. კიცხში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებამდე (ყოფილი ვეტსამკურნალო) მისასვლელი გზის -498 კვ.მ მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნის საფუძველზე და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შემდეგი მიწის ნაკვეთები: სოფელ მოლითში 150 კვ.მ და დაბა ხარაგაულში 80 კვ.მ-საპრივატიზაციოდ, სოფ. ვარძიაში 284 კვ.მ-ვარძიის ადმინისტრაციული შენობის და ამბულატორიის შენობის ეზოს გადიდებისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით, სოფ. ღორეშაში 3535 კვ.მ უძრავი ქონება სპორტული მოედნის დანიშნულებით, სოფ. თეთრაწყაროში 7362 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც სახელმწიფო საჭიროებისათვის სატყეოს საქმიანი ეზოს მოწყობის მიზნით სარგებლობაში 20 წლის ვადით გადაეცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ეროვნული სატყეო სააგენტოს. მიმდინარეობს საქმის წარმოება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციაზე თანხმობის მისაღებად დაბა ხარაგაულში 500 კვ.მ და 980 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, მათი შემდგომში სარგებლობის უფლებით განსაკარგად და სოფელ დიდვაკეში 2 741 კვ.მ -ზე, შემდგომში სკვერის მოწყობის მიზნით, სოფ. ნადაბურში 9 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსდა მგზავრთა მოსაცდელი.

განხორციელდა სოფ. ვახანისა და სოფ. ფარცხნალის ადმინისტრაციული შენობების ფართის დაყოფა, გამოიყო ცალკე საკადასტრო კოდებით ვახანის ამბულატორიის ფართი 47,91 კვ.მ და ფარცხნალის ამბულატორიის ფართი 49,20 კვ.მ, რომლებიც გადაეცა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით სახელმწიფოს საკუთრებაში სამედიცინო ჰოლდინგზე გადაცემის მიზნით. ასევე სოფელ სარგვეშში განხორციელდა 200 კვ.მ მიწის ნაკვეთის დაჭრა რომელიც გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში შემდეგ სამედიცინო ჰოლდინგზე გადაცემის მიზნით.

სოფელ კიცხში განხორციელდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დაჭრა, დაჭრის შედეგად მიღებულ 2576 კვ.მ მიწის ნაკვეთს შეეცვალა მიზნობრივი დანიშნულება, რომელზეც მიმდინარეობს საბავშვო ბაღის მშენებლობის განხორციელებისათვის საჭირო საპროექტო სამუშაოები.

თბილისი მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო ხაზის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში განხორციელდა სოფელ მოლითში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების დაჭრა და დაჭრის შედეგად მიღებული 568 კვ.მ უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემა შემდგომში სს „საქართველოს რკინიგზის“ საწესდებო კაპიტალში შეტანის მიზნით.

სოფელ ბორითში განხორციელდა საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის, უბისა შორაპნის ავტომაგისტრალის , უბისა შორაპნის მონაკვეთის სამუშაოების გზის განთავსების ზოლში მოქცეული 171 კვ.მ მიწის ნაკვეთის გამოყოფა მუნიციპალიტეტის სკუთრებაში მყოფი უძრავი ქონებიდან და მისი სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა, შემდგომში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

განხორციელდა სოფელ ნუნისში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 21 246 კვ.მ და 4 000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მიზნობრივი ცვლილებები, აღნიშნული ნაკვეთები დარეგისტრირდა არასასოფლო სამეურნეო დანიშნულებით. ასევე სოფ. ხევში 550 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განხორციელდა მიზნობრივი ცვლილება, აღნიშნული უძრავი ქონებაც დარეგისტრირდა არასასოფლო-სამეურნეოდ შემდგომში იჯარით განკარგვის მიზნით.

დაბა ხარაგაულში მდებარე კულტურის და დასვენების პარკში ჩატარებული რეკონსტრუქციის შემდეგ ცვლილება განხორციელდა პარკის უძრავი ქონების რეგისტრაციაში, მოხდა პარკში მდებარე 4 უძრავი ქონების გაერთიანება .

გაფორმდა მიწის ნაკვეთის ჩუქების 1 ხელშეკრულება, კერძოდ ფიზიკურმა პირმა სოფელ ფარცხნალში ჭაბურღილის მოსაწყობად მუნიციპალიტეტს გადმოსცა 126 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლზეც უკვე მოეწყო ჭაბურღილი. სოფელ ხევში ბიბლიოთეკისა და ამბულატორიის შენობის არ ქონის გამო დროებით გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც მერიამ უზრუნველყო ფართით დაკმაყოფილება აღნიშნული ორგანიზაციების.

მომზადდა მასალა დაბა ხარაგაულში (რიყე) მდებარე ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების დაჭრასთან დაკავშირებით და დაჭრის შედეგად 36.01.31.1987 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1636 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების

მიწის ნაკვეთი უსასყიდლო აღნაგობის უფლებით პროფესიული სასწავლებლის მშენებლობის მიზნით 50 წლის ვადით გადაეცა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - დაბა ხარაგაულის N2 საჯარო სკოლას, რაზეც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება და დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

გაფორმდა უასასყიდლო უზუფრუქტის 6 ხელშეკრულება, რომლებიც დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, თხოვების წესით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ,,დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას" გადაეცა ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალება - ექსკავატორი.

საანგარიშო პერიოდში პირდაპირი განკარგვის წესით გაფორმდა 3 იჯარის ხელშეკრულება, ხოლო დღეის მდგომარეობით სულ გაფორმებული არის 16 იჯარის ხელშეკრულება. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე მოხდა სოფელ ხიდარში მდებარე სარიტუალო დარბაზის წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრა ექსპერტიზის მიერ, რომელზეც გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი, თუმცა აუქციონი არ შედგა. საანგარიშო პერიოდში შემოსულია იჯარის გადასახადი 39 793 ლარი. მოიჯარეებიდან იჯარის ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში ეგზავნებათ წერილები გადაუხდელი ქირის გადახდის მიზნით.

სამსახური მუნიციპალიტეტის მერიაში იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან შემოსული წერილების საფუძველზე, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული თუ დასარეგისტრირებელი ქონების განკარგვას ,,ქონების მართვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ, მერის წარმომადგენლების დახმარებით ახდენს მოკვლევას და შესწავლას ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის შესახებ და წერილობით ინფორმაციას აწვდის იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციას. საანგარიშო პერიოდში შესწავლა და მოკვლევა მოხდა 12 წერილზე.

სამსახური ასევე ამზადებს აუქციონის მასალებს და ვებ.გვერდზე www.eauction.ge აცხადებს ელექტრონულ აუქციონს, საანგარიშო პერიოდში

ქონების პრივატიზებაზე გამოცხადდა 5 ელექტრონული აუქციონი რომლის საფუძველზეც გაიყიდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი მოძრავი ქონება (ტრაქტორის ნარჩენები, ჯართი) 550 ლარად, დაბა ხარაგაულში მდებარე 80 კვ.მ და 92 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, სოფელ მოლითში მდებარე 150 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლებზეც გამოვლენილია გამარჯვებული პირები და გაფორმდა შესაბამისი დოკუმენტები, ოთხივე ობიექტის პრივატიზების თანხა შეადგენს 15500 ლარს. ხოლო სოფელ ბორითში მდებარე 99.54 კვ.მ კომერციულ ფართზე გამოცხადებული აუქციონი, რომლის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება იყო 24 900 ლარი არ შედგა.

სამსახურს კომუნიკაცია აქვს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მომრავლებულ გარეულ ცხოველთა რეგულაციის თაობაზე, აღნიშნულ საკითხზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ 2022 წლის 12 ოქტომბერს გამოცემული ბრძანება N2-757 დაურიგდა მერის წარმომადგენლებს, რომელშიც გასაზღვრულია ცხოველთა იმ სახეობის ჩამონათვალი, რომელთა რაოდენობის რეგულირების ღონისძიება მუნიციპალიტეტებმა შესაძლებელია განახორციელონ სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, ხოლო მერის წარმომადგენლები აღნიშნულ საკითხს ადგილზე გააცნობდნენ ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოსახლეობას, თუმცა გარემოდან გარეულ ცხოველთა ამოღების თაობაზე მოსახლეობიდან მერიაში შეტყობინება არ შემოსულა.

გარემოს ეროვნული სააგენტო, ყოველ სამ დღეში ერთხელ გვიგზავნის პროგნოზს, მოსალოდნელი ამინდის და სტიქიური მოვლენების შესახებ და საფრთხის არსებობის შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაციას გავრცელების მიზნით ვაწვდით როგორც მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას ასევე მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში.

სამსახურის ინიციატივით საანგარიშო პერიოდში 4 -ჯერ გაიმართა დასუფთავების აქცია, რომელშიც ჩაერთნენ მერიის საჯარო მოსამსახურეები, ა(ა)იპ

,,დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ თანამშრომლები და საჯარო სკოლები.

მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებელთან დაკავშირებით დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურთან შეთანხმებით ვახდენთ იმ იურიდიული პირების მოკვლევას რომლებიც წარმოქმნიან ნარჩენს, მიეწოდებათ დასუფთავების სერვისი და მათ მიერ წარმოქმნილი ნარჩენების მოსაკრებლის გადახდასთან დაკავირებით ვუფორმებთ დასუფთავების ხელშეკრულებებს. რიგი იურიდიული პირების მოთხოვნის საფუძველზე ხდება მიღება_ჩაბარების აქტების პროექტების მომზადება, გაფორმება და დაგზავნა, რომლის საფუძველზეც იხდიან დასუფთავების გადასახადს. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებელი შემოსულია 157 791 ლარი, რომელიც გაზრდილია გასულ წელთან შედარებით 38474 ლარით.

სამსახური აქტიურად ვთანამშრომლობთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხების კომისიასთან.